



საქართველოს გარემოსა და
ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

**ორგანიზაციის მომხმარებლის
სახელმძღვანელო**

**ნარჩენების მართვის ელექტრონული
სისტემა**

WASTE MANAGEMENT SYSTEM

WMS



2017

სარჩევი

1	შემოკლებები და აკრონიმები.....	3
2	დოკუმენტის დანიშნულება.....	4
3	WMS: მოკლე აღწერილობა და ფუნქციონალი.....	4
4	ნარჩენების მართვის პროცესი.....	5
5	მომხმარებლის რეგისტრაცია	8
6	ნარჩენების ადმინისტრირება	9
6.1	მთავარი მენიუ	9
6.2	პერსონალური გვერდი	11
6.3	საქმიანობის რეგისტრაცია	14
6.3.1	ნარჩენების შეგროვება და/ან ტრანსპორტირება.....	15
6.3.2	50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება.....	16
6.3.3	არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება	16
6.3.4	არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი სენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება	18
6.3.5	ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება.....	19
6.4	ნებართვების მართვა.....	21
6.5	ნარჩენების მართვის გეგმების ადმინისტრირება	23
6.6	ნარჩენების აღრიცხვა.....	26
6.6.1	გამგზავნი.....	27
6.6.2	ნარჩენების დამატება.....	28
6.6.3	გადამზდავი.....	29
6.6.4	მიმღები.....	29
6.7	ანალიტიკა.....	30
7	დანართი 1 - ნარჩენების ნუსხა.....	31



1 შემოკლებები და აკრონიმები

WMS	ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა (Waste Management System)
	ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზა (Waste Management Database)
Portal	პორტალი / Portal
UMM	მომხმარებელთა მართვის მოდული (User Management Module)
CDM	Common Data Module (საერთო მონაცემების მოდული)
SB	Service Bus (საკომუნიკაციო მოდული)
სამინისტრო	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia)
MOE	



2 დოკუმენტის დანიშნულება

ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემის¹ (Waste Management System, WMS) ორგანიზაციის მომხმარებლების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი წარმოადგენს WMS სისტემის დანერგვისა და გამართვის პროექტის ფუნდამენტურ ნაწილს. დოკუმენტი აღწერს სისტემაში დარეგისტრირებული ორგანიზაციების მონაცემებისა და საქმიანობის ადმინისტრირების პროცესს და დეტალური ინსტრუქციას. ორგანიზაციის მომხმარებლის სახელმძღვანელო დოკუმენტი განკუთვნილია ნარჩენების მართვაში სხვადასხვა როლით ჩართული ორგანიზაციებისთვის და შეიცავს ყველა საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას საქმიანობის რეგისტრაციის, ნებართვების, გეგმებისა და ნარჩენების მართვის ადმინისტრირებისთვის.

სისტემასთან მუშაობის სახელმძღვანელო დოკუმენტაცია დამატებით შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

- WMS - მომხმარებლების მართვის სახელმძღვანელო²
- WMS - სამინისტროს მომხმარებლის სახელმძღვანელო³

მიმდინარე დოკუმენტი არ მოიცავს სისტემის დეტალური ტექნიკური არქიტექტურის აღწერილობას. ამ მიზნისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს WMS სისტემის ტექნიკური არქიტექტურის დოკუმენტი⁴, რომელიც ასევე არის სისტემური ტექნიკური დოკუმენტაციის აუცილებელი ნაწილი.

3 WMS: მოკლე აღწერილობა და ფუნქციონალი

ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივის რესურსების დაცვის სამინისტროს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგი ძირითადი ფუნქციების რეალიზაციას:

1. იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც ამუშავებენ ნარჩენებს და ეკისრებათ წლიური ანგარიშების შევსების ვალდებულება:
 - a. რეგისტრაციის შესაძლებლობა ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზაში;
 - b. ელექტრონული რეგისტრაციის უზრუნველყოფა კომპეტენტური ორგანოს ვებ-გვერდზე
2. კომპეტენტური ორგანოს მიერ ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის დადასტურების შემდეგ, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მონაცემთა ბაზაში შესასვლელად:
 - a. საკუთარ მომხმარებლის სახელსა და პაროლის უზრუნველყოფა
 - b. მომხმარებლის სახლისა და პაროლის გაგზავნის ფუნქციონალი რეგისტრაციის ფორმაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

¹ evolution.ge/moe/wms/wms_portal.web

² ლინკი მომხმარებლების მართვის სახელმძღვანელოზე

³ ლინკი სამინისტროს მომხმარებლის სახელმძღვანელოზე

⁴ ლინკი სისტემური არქიტექტურის დოკუმენტზე



3. წლიური ანგარიშების შევსებისა და ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზაში გაგზავნის შემდეგ, ანგარიშების დადასტურების ფუნქციონალის უზრუნველყოფა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

4. ნარჩენების მართვის მონაცემთა ბაზის მიერ ავტომატური დადასტურების მიღების შემდეგ, ფიზიკურ და იურიდიულ პირისთვის, რომელსაც ეკისრება ანგარიშის შევსების ვალდებულება, ანგარიშის ფუქცელზე დაბეჭდვის შესაძლებლობა.

WMS პორტალთან მუშაობა, დათვალიერება და ადმინისტრირება შესაძლებელია შემდეგი ინტერნეტ-ბრაუზერების საშუალებით:

- Google Chrome ⁵
- Mozilla Firefox ⁶
- Microsoft Internet Explorer ⁷
- Microsoft Edge ⁸

4 ნარჩენების მართვის პროცესი

ნარჩენების მართვის პროცესი გულისხმობს ჩართული მხარეების რეგისტრაციის, საქმიანობისა და ნებართვების რეგისტრაცია, სამინისტროს მიერ დადასტურებას ან უარყოფას და ნარჩენების მართვის ანალიტიკას. პროცესში მონაწილეობენ შემდეგი მხარეები:

1. ორგანიზაციები
 - a. ნარჩენის წარმომქმნელი ორგანიზაცია
 - b. ნარჩენის გადამზიდავი ორგანიზაცია
 - c. ნარჩენის მიმღები ორგანიზაცია
2. გარემოს დაცვის სამინისტრო

ნარჩენების მართვის განზოგადებული პროცესი (**სურათი 1**) გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

1. ორგანიზაციის რეგისტრაცია
 - a. ფიზიკური პირი
 - b. იურიდიული პირი
2. ორგანიზაციის საქმიანობ(ებ)ის რეგისტრაცია:
 - a. ნარჩენების შეგროვება და/ან ტრანსპორტირება
 - b. 50 ტონაზე მეტი არასახიფათ ნარჩენების ღრობითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება
 - c. არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება
 - d. არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო არცენის ღრობითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება

⁵ <https://www.google.com/chrome>

⁶ <https://www.mozilla.org/en-US/firefox/new>

⁷ <https://www.microsoft.com/en-us/download/internet-explorer.aspx>

⁸ <https://www.microsoft.com/en-us/windows/microsoft-edge>



- e. ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება
- 3. საქმიანობის დასტური ან უარყოფა სამინისტროს მომხმარებლის მიერ
- 4. ორგანიზაციის მიერ ნებართვ(ებ)ის რეგისტრაცია:
 - a. ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა
 - b. ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა
 - c. სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება
 - d. 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა
- 5. ნებართვის დასტური ან უარყოფა სამინისტროს მომხმარებლის მიერ
- 6. ორგანიზაციის ნარჩენების მართვის გეგმ(ებ)ის რეგისტრაცია
- 7. გეგმის დასტური ან უარყოფა სამინისტროს მომხმარებლის მიერ
- 8. ორგანიზაციის მიერ ნარჩენების რეგისტრაცია
 - a. გადამზიდავი ორგანიზაციის დასტური ან უარყოფა
 - b. მიმღები ორგანიზაციის დასტური ან უარყოფა


პროცესის ამ ეტაპების გარდა სისტემაში განხორციელებულია შემდეგი ფუნქციონალი:

- 1. მონაცემების მართვა
 - a. ორგანიზაციის მხარე (ორგანიზაციის მომხმარებლის როლით)
 - i. მხოლოდ ორგანიზაციის საკუთარი მონაცემების ანალიტიკა
 - b. სამინისტროს მხარე (სამინისტროს მომხმარებლის როლით)
 - i. სისტემაში დარეგისტრირებული ყველა ორგანიზაციის მონაცემების ანალიტიკა
 - ii. ორგანიზაციების მონაცემების მონიტორინგი და კონტროლი
 - 1. ორგანიზაციების საქმიანობის დასტური და უარყოფა
 - 2. ორგანიზაციების ნებართვების დასტური და უარყოფა
 - 3. ორგანიზაციების ნარჩენების მართვის გეგმების დასტური და უარყოფა
- 2. მომხმარებლების მართვა
 - a. სამინისტროს მხარე (სუპერ-ადმინისტრატორის როლით)
 - i. სისტემაში დარეგისტრირებული ყველა მომხმარებლის მართვა, როგორც ორგანიზაციების, ასევე სამინისტროს მომხმარებლების
- 3. ნაგავსაყრელების სიის მართვა
 - a. სამინისტროს მომხმარებლის როლით

სამინისტროს მომხმარებლების ჟრილში პროცესის ეტაპების ადმინისტრირების ინსტრუქცია მოცემულია „WMS: სამინისტროს მომხმარებლის სახელმძღვანელოში“.

მომხმარებლების მართვის ადმინისტრატორის ჟრილში პროცესის ეტაპების ადმინისტრირების ინსტრუქცია მოცემულია „WMS: სამინისტროს მომხმარებლების მართვის სახელმძღვანელოში“.

ორგანიზაციის მომხმარებლების ჟრილში პროცესის ეტაპების ადმინისტრირების ინსტრუქცია მოცემულია მიმდინარე დოკუმენტში (თავი 6 - ნარჩენების ადმინისტრირება).



სურათი 1. ნარჩენების მართვის პროცესი



5 მომხმარებლის რეგისტრაცია


იმისთვის, რომ ორგანიზაციამ მიიღოს წვდომა სისტემაში, საჭიროა მომხმარებლის რეგისტრაცია, რის შედეგადაც ორგანიზაცია მიიღებს მომხმარებლის სახელსა (username) და პაროლს (password), და სისტემაში ავტორიზაცია (სურათი 2).

რეგისტრაციის დილაკზე დაჭერის შემდეგ გამოჩნდება რეგისტრაციის ინტერფეისი, შესაბამისი აუცილებელი ველებით (სურათი 3). აუცილებელი ველები აღნიშნულია წითელი ვარსკვლავებით. ყველა საწირო ველის შევსების შემდეგ მომხმარებელი მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს წერილს მომხმარებლის აქტივაციის ლინკით, რომელზე გადასვლის შედეგადაც მომხმარებელი გააქტიურდება.

სისტემაში ავტორიზაცია ასევე შესაძლებელია RS.ge-ს მომხმარებლით. ამ შემთხვევაში WMS სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაცია საჭირო არ არის (სურათი 4).



სურათი 2. ავტორიზაციის ფანჯარა



სურათი 3. მომხმარებლის რეგისტრაციის ინტერფეისი





შემოსავლების
სამსახური

მომხმარებელი

პაროლი

ავტორიზაცია საიდენტიფიკაციო ნომრით

ავტორიზაცია

რეგისტრაცია
მომხმარებლის / პაროლის აღდგენა

 ავტორიზაცია ID ბანათით



შემოსავლების სამსახურის
ანდროიდ აპლიკაცია - RS.GE

ელ.სერვისების სასწავლო გარემო NEW

demo-eservices.rs.ge



ორბიჯიანი (SMS) ავტორიზაცია

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე მომხმარებლის უფლებების, უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ... [იხილეთ მეტი](#)



პროტოკოლში ცვლილების შესახებ შეტყობინებების გამოწერა!

თუ თქვენ, იყენებთ შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებულ ვებ-სერვისებს (აქტუა, სასაქონლო ზედნადების და სხვა ... [იხილეთ მეტი](#)



ყურადღება!

გაცნობებთ, რომ ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილი ერთიანი სახაზინო კოდი – 101001000 ... [იხილეთ მეტი](#)

სურათი 4. ავტორიზაცია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული მომხმარებლით


6 ნარჩენების ადმინისტრირება

6.1 მთავარი მენიუ



მთავარი მენიუ წარმოადგენს ნავიგაციის ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც ნებისმიერი მოქმედების შესრულებისას მუდმივად ჩანს ინტერფეისი მარცხენა ზედა ნაწილში (სურათი 5). ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს მომხმარებელთა მართვის ფუნქციონალი, როდესაც მთავარი მენიუ იცვლება მომხმარებელთა მართვის მენიუზე (იხ. „WMS: სამინისტროს მომხმარებლების მართვის სახელმძღვანელო“). ამ შემთხვევაში მთავარ მენიუზე დაბრუნება შესაძლებელია დილაკით „ნარჩენების მართვა“.

მომდევნო თავებში მოცემულია მთავარი მენიუს კომპონენტებთან მუშაობის ინსტრუქცია ეტაპების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.



სურათი 5. მთავარი მენიუ



6.2 პერსონალური გვერდი

WMS სისტემაში მომხმარებლის ავტორიზაციის (Login) შემდეგ ავტომატურად გაიხსნება პერსონალური გვერდი, რომლის აუცილებელი ველების შევსების გარეშე მომხმარებელი ვერ გადავა ნარჩენების ადმინისტრირების სხვა გვერდებზე (სურათი 6).

The screenshot shows a web interface for administrator login. It features several form sections:

- 7 შენახვა (Save):** Located at the top left, it includes a green checkmark icon and a dropdown menu labeled "1" with the text "იურიდიული პირი". Below it are three input fields labeled "2": "სამართლებრივი ფორმა", "საიდენტიფიკაციო კოდი", and "კომპანიის დასახელება".
- 3 დირექტორი (Director):** A section with a checkbox "უცხო ქვეყნის მოქალაქე" and several input fields for "სახელი", "გვარი", "პირადი ნომერი", "მობილური ტელ.", and "ელ-ფოსტა".
- 4 წარმომადგენელი (Representative):** A section with a link "[დირექტორის მონაცემების კოპირება]" and input fields for "სახელი", "გვარი", "პირადი ნომერი", "მობილური ტელ.", and "ელ-ფოსტა".
- 5 გარემოსდაცვითი მმართველი (Environmental Manager):** A section with a link "[დირექტორის მონაცემების კოპირება]" and input fields for "სახელი", "გვარი", "პირადი ნომერი", "მობილური ტელ.", and "ელ-ფოსტა".
- 6 დამატება (Add):** A green plus icon at the bottom left.

At the bottom, there is a table with columns: "დასახელება", "ტიპი", and "სამართლებრივი ფორმა". A blue banner above the table reads: "გადმოიტანეთ ის სვეტი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაგეუფება". Below the table, it says "მონაცემები არ მოიძებნა".

სურათი 6. ორგანიზაციის მომხმარებლის პერსონალური გვერდი (1) ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა (იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი); (2) ორგანიზაციის იურიდიული რეკვიზიტები; (3) დირექტორის საკონტაქტო მონაცემები; (4) წარმომადგენლის საკონტაქტო მონაცემები; (5) გარემოსდაცვითი მმართველის საკონტაქტო მონაცემები; (6) ფილიალების დამატების ინტერფეისი; (7) მონაცემების შენახვა

იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი ითავსებს წარმომადგენლისა და გარემოსდაცვითი მმართველის ფუნქციას, მისი მონაცემების კოპირება შესაძლებელია [მონაცემების კოპირება]-ის საშუალებით.

ყველგან, სადაც საჭიროა ტელეფონის ნომრის შეტანა, გამოიყენება შემდეგი მასკა: +(xxx) xxx xx-xx-xx (მაგალითად: +(995) 595 11-11-11).



ფილიალების დამატების შემთხვევაში გაიხსნება შესაბამისი ინტერფეისი (სურათი 7):

სურათი 7. ფილიალის დამატება

1. ორგანიზაციის ტიპი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. სათაო
 - b. ფილიალი
 - c. წარმომადგენლობა
 - d. დაქვემდებარებული
2. ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი (ტექსტური ველი)
3. საწარმოს დასახელება (ტექსტური ველი)
4. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
 - b. კომანდიტური საზოგადოება (კს)
 - c. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
 - d. სააქციო საზოგადოება (სს)
 - e. კოოპერატივი
5. ქვეყანა (სიიდან ამოსარჩევი):
6. რეგიონი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია *საქართველო*
7. მუნიციპალიტეტი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია *საქართველო*
 - b. სიაში მუნიციპალიტეტები დაფილტრულია არჩეული რეგიონის მიხედვით
8. დასახლებული პუნქტი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია *საქართველო*
 - b. სიაში დასახლებული პუნქტები დაფილტრულია არჩეული მუნიციპალიტეტის მიხედვით



9. მისამართი (ტექსტური ველი)

ფიზიკური პირის არჩევის შემთხვევაში მონაცემების შესავსები ინტერფეისი განსხვავებულია. ამ შემთხვევაში ინტერფეისი პირადი ნომრის, სახელისა და გვარის გარდა წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური მისამართების შესავსებ ველებს (**სურათი 8**).

ფიზიკური პირის იურიდიული და ფაქტიური მისამართების ველების შევსების პრინციპი

The screenshot displays a web form for address selection. At the top left, there is a 'შენახვა' (Save) button. Below it, a dropdown menu is set to 'ფიზიკური პირი' (Physical Person). A checkbox is present for 'პირადი ნომერი' (Personal Number). The form is divided into two main sections: 'იურიდიული მისამართი' (Legal Address) and 'ფაქტიური მისამართი' (Factual Address). Each section contains dropdown menus for 'ქვეყანა' (Country), 'რეგიონი' (Region), 'მუნიციპალიტეტი' (Municipality), and 'დასახლებული პუნქტი' (Settlement), along with a text input for 'მისამართი' (Address).


სურათი 8. ფიზიკური პირის შესავსები ველები

იგივეა, რაც იურიდიული პირის ფილიალების მისამართის შემთხვევაში (იხ. ზემოთ). იგივე პრინციპი მოქმედებს სისტემის ყველა სხვა კომპონენტშიც, როდესაც საჭიროა მისამართის მონაცემების შევსება



6.3 საქმიანობის რეგისტრაცია


პერსონალური გვერდის შევსების შემდეგ შესაძლებელია სხვა კომპონენტების ადმინისტრირება, მათ შორის საქმიანობის რეგისტრაცია. მენიუს ამ კომპონენტზე გადასვლისას



სურათი 9. დარეგისტრირებული საქმიანობების სია (1) რეგისტრაციის ტიპის ფილტრი; (2) საქმიანობის ტიპი ფილტრი; (3) რეგისტრაციის სტატუსის ფილტრი; (4) პერიოდის ფილტრი; (5) სიის ექსპორტი Excel-ის ფორმატში; (6) ახალი საქმიანობის დამატება

ჩანს ორგანიზაცია დარეგისტრირებული საქმიანობების სია, რამოდენიმე ფილტრით (**სურათი 9**).

საქმიანობის დამატებისთვის საჭიროა დამატების დილაკის გამოყენება (6), რის შედეგადაც გაიხსნება საქმიანობის რეგისტრაციის ინტერფეისი (**სურათი 10**):



სურათი 10. ახალი საქმიანობის დამატება

1. მონაცემების შევსება
2. დანართების ატვირთვა (ფაილები)
3. არჩევა ახალია თუ არა საქმიანობა
 - a. ახალი საქმიანობის არჩევის შემთხვევაში საქმიანობას რეგისტრაციის ნომერი ავტომატურად მიენიჭება
 - b. თუ სისტემაში ხდება მიმდინარე საქმიანობის დამატება, რეგისტრაციის ნომერი ორგანიზაციის მომხმარებელმა თვითონ უნდა შეიტანოს
4. რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობა (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ნარჩენების შეგროვება და/ან ტრანსპორტირება
 - b. 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება



- c. არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება
 - d. არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი სენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება
 - e. ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება
5. საქმიანობის დაწყების დრო (კალენდარი)

The screenshot shows a web form for registering waste management activities. It includes a header with the system name and a dropdown for 'ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება'. Below this are several dropdown menus for 'საქმიანობის დაწყების დრო', 'საქმიანობის ადგილი', 'ქვეყანა' (set to 'საქართველო'), 'რეგიონი', 'მუნიციპალიტეტი', 'დასახლებული პუნქტი', and 'მისამართი'. At the bottom, there are checkboxes for 'არასახიფათო ნარჩენები' and 'სახიფათო ნარჩენები'.

რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობის არჩევის შედეგად, შესავსები მონაცემების ველები განსხვავდება ტიპის შესაბამისად

6.3.1 ნარჩენების შეგროვება და/ან ტრანსპორტირება

ეს ტიპი წარმოადგენს საქმიანობის ყველაზე ზოგად ტიპს და ამ შემთხვევაში შესავსებია მხოლოდ ზოგადი სახის ინფორმაცია - მისამართი და ნარჩენების ტიპი (სურათი 11).

სურათი 11. ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის ტიპის რეგისტრაცია



6.3.2 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება

სურათი 12 წარმოადგენს ამ ტიპის საქმიანობისთვის საჭირო მონაცემების შევსების ინტერფეისს:

რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობა 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი

საქმიანობის დაწყების დრო

საქმიანობის ადგილი

ქვეყანა საქართველო

რეგიონი

მუნიციპალიტეტი

დასახლებული პუნქტი

მისამართი

50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება

მაქსიმალური წარმადობა (ტონა)

ღონისძიებების აღწერა

სურათი 12. 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების შენახვის ობიექტის რეგისტრაცია

6.3.3 არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება

ამ ტიპის საქმიანობის მონაცემების შეტანა 3 სეგმენტისგან შედგება. პირველი სეგმენტი **სურათი 12**-ის ანალოგიურია, გარდა ღონისძიების აღწერისა.

მეორე სეგმენტში ხდება წინასწარი დამუშავების მიზნით მიღებული არასახიფათო ნარჩენების რეგისტრაცია (**სურათი 13**).

არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება

მაქსიმალური წარმადობა (ტონა)

ინფორმაცია არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების რეგისტრაციისთვის

წინასწარი დამუშავების მიზნით მიღებული არასახიფათო ნარჩენები

1 + დამატება

გადმოიტანეთ ის სვეტი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება

კოდი	დასახელება	რაოდენობა (კგ)
------	------------	----------------

სურათი 13. არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება - რეგისტრირებული წინასწარი ნარჩენების სია: (1) არასახიფათო ნარჩენის დამატება



დამატების ღილაკზე (1) დაჭერით გამოდის ნარჩენის დამატების ფანხარა (სურათი 14). ნარჩენის კოდისა და დასახელების არჩევა ხდება წინასწარგანსაზღვრული სიიდან. სია წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენებს (* ვარსკვლავის გარეშე) კანონით დადგენილი ნარჩენებს კლასიფიკატორიდან (იხ. დანართი 1 - ნარჩენების ნუსხა). შენახვის შემდეგ ნარჩენი დაემატება ნარჩენების სიას (სურათი 13).

მეორე სეგმენტის ნაწილს ასევე წარმოადგენს ინფორმაცია წინასწარი დამუშავების პროცესის შესახებ (სურათი 15).

სურათი 15. წინასწარი დამუშავების პროცესი

სურათი 14. ნარჩენის დამატების ფანჯარა

1. ობიექტის წარმადობა (მხოლოდ რიცხვი)

- 2. წინასწარი დამუშავების მეთოდი (სიიდან ამოსარჩევი, ცხრილი 1)
- 3. დანამატები (ტ/წ) (მხოლოდ რიცხვი)
- 4. ნარჩენების წინასწარი დამუშავების ოპერაციებს ტიპი (ტექნიკური პროცედურები) (ტექსტური ველი)
- 5. მანძილი უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან (მ) (მხოლოდ რიცხვი)
- 6. მანძილი უახლოესი დასახლებული ტერიტორიიდან (მ) (მხოლოდ რიცხვი)
- 7. მანძილი უახლოესი დაცული ტერიტორიიდან (მ) (მხოლოდ რიცხვი)

ცხრილი 1. აღდგენის ოპერაციების სია

R 1	საწვავად ან სხვაგვარი გამოყენება ენერჯის მისაღებად
R 2	გამხსნელის აღდგენა (რეგენერაცია)
R 3	იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა, რომლებიც არ გამოიყენება, როგორც გამხსნელები (მათ შორის, კომპოსტირება და სხვა ბიოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესები) [ეს მოიცავს გაზიფიკაციასა და პიროლიზს.]
R 4	მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა
R 5	სხვა არაორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა [ეს მოიცავს ნიადაგის გაწმენდას, რის შედეგადაც ხდება ნიადაგის აღდგენა და არაორგანული სამშენებლო მასალების რეციკლირება.]
R 6	მჟავების ან ფუძეების რეგენერაცია
R 7	კომპონენტების აღდგენა დაბინძურების შესამცირებლად
R 8	კატალიზატორებიდან კომპონენტების აღდგენა
R 9	ნავთობპროდუქტების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება
R 10	მიწის დამუშავება, რასაც სარგებელი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის ან აუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას




R 11	R1-დან R10-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციის შედეგად მიღებული ნარჩენების გამოყენება
R 12	ნარჩენების გაცვლა R1-დან R11 [თუ სხვა R კოდი არ გამოიყენება, აქ იგულისხმება წინასწარი დამუშავება თუ სხვა R კოდი არ გამოიყენება, აქ იგულისხმება წინასწარი დამუშავება ადღენამდე, კერძოდ, დაშლა, სორტირება, დასრესა, კომპაქტირება, პალეტირება, გამრობა, დაქუცმაცება, გადაფუთვა, სეპარირება ან შერევა, R1-დან R11-მდე კოდებში მოცემული რომელიმე ოპერაციის განსახორციელებლად ჩაბარებამდე. გამრობა, დაქუცმაცება, გადაფუთვა, სეპარირება ან შერევა, R1-დან R11-მდე კოდებში მოცემული რომელიმე ოპერაციის განსახორციელებლად ჩაბარებამდე.] -ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად
R 13	R1-დან R12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ოპერაციისთვის განკუთვნილი ნარჩენების დასაწყობება (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)

მესამე სეგმენტში ხდება არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების შემდეგ დარჩენილი საბოლოო ნარჩენების აღრიცხვა. ნარჩენების სია, მეორე სეგმენტის ანალოგიურია (სურათი 13) და დამატების დილაკზე დაჭრისას გამოდის საბოლოო ნარჩენების დამატების ინტერფეისი. ნარჩენის რეგისტრაციის პროცესიც მიღებული ნარჩენების რეგისტრაციის პროცესის ანალოგიურია (სურათი 14).

6.3.4 არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი სენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება

ამ ტიპის საქმიანობის ინფორმაციის მართვის ინტერფეისი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს მისამართსა, ასევე წარმადობისა და ღონისძიების აღწერას და სხვა ტიპების ანალოგიურია (იხ. ზემოთ).



სურათი 16. სახიფათო ნარჩენების დამატების ინტერფეისი

მეორე ნაწილში ხდება სახიფათო ნარჩენების რეგისტრაცია და სიაში გამოტანა (სურათი 16).

1. განთავსების ტიპი (სიიდან ამოსარჩევი, ცხრილი 1)
2. მანძილი უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან (მ) (მხოლოდ რიცხვი)
3. მანძილი უახლოესი დასახლებული ტერიტორიიდან (მ) (მხოლოდ რიცხვი)



4. მანძილი უახლოესი დაცული ტერიტორიიდან (მ) (მხოლოდ რიცხვი)

ცხრილი 2. განთავსების ოპერაციები

D 1	მიწაში ან მიწაზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და სხვ.)
D 2	ნიადაგის დამუშავება (მაგ., ნიადაგში ჩაშვებული თხევადი ან ლექისებრი ნარჩენების ბიოდეგრადირება და სხვ.)
D 3	ღრმა ჩაშვება (მაგ., ნარჩენების ჭაბურღილებში, მარილოვან თალებში ან ბუნებრივ რეზერვუარებში ჩაშვება და სხვ.)
D 4	ზედაპირული ჩაშვება (მაგ., თხევადი ან ლექისებრი ნარჩენების ქვაბულებში, გუბურებში ან აუზებში ჩაშვება და სხვ.)
D 5	სპეციალურად მოწყობილ ნაგავსაყრელზე განთავსება (მაგ., ნარჩენების ცალკე უჯრედებში განთავსება, რომლებიც დახურულია და იზოლირებულიაერთმანეთისგან და გარემოსგან, და სხვ.)
D 6	წყალსატევებში (გარდა ზღვებისა და ოკეანეებისა) ჩაშვება
D 7	ზღვებსა და ოკეანეებში ჩაშვება, მათ შორის, ზღვის ფსკერზე ჩამარხვა
D 8	ბიოლოგიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევიები D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული
D 9	ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება, რომელიც არ არის მოცემული ამ დანართში და რომლის შედეგად მიღებული საბოლოო ნაერთები ან ნარევიები D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების საშუალებით არის განთავსებული (მაგ., აორთქლება, გამრობა, კალცინირება და სხვ.)
D 10	მიწაზე ინსინერაცია
D 11	ზღვაში ინსინერაცია [ეს ოპერაცია აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით]
D 12	მუდმივი დასაწყობება (მაგ., კონტეინერების მადაროში განთავსება და სხვ.)
D 13	შერევა D1-დან D12-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების დაწყებამდე [თუ სხვა D კოდი არ გამოიყენება, აქ იგულისხმება წინასწარი დამუშავება განთავსებამდე, კერძოდ, სორტირება, დასრევა, კომპაქტირება, პალეტირება, გამრობა, დაქუცმაცება ან სეპარირება, D1-დან D12-მდე კოდებში მოცემული რომელიმე ოპერაციის განსახორციელებლად ჩაბარებამდე.]
D 14	გადაფუთვა D1-დან D13-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების დაწყებამდე
D 15	D1-დან D14-ის ჩათვლით კოდებში ჩამოთვლილი ოპერაციების მიმდინარეობის დროს შენახვა (ეს არ მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას)

სახიფათო ნარჩენების დამატების პროცესი არასახიფათო ნარჩენების დამატების ანალოგიურია (**სურათი 14**) და ხდება შესაბამისი დილაკის საშუალებით. თუმცა, ნარჩენის კოდისა და დასახელების სია **დანართი 1** - ნარჩენების ნუსხა-ში მხოლოდ ვარსკვლავიან (*) კოდებს მოიცავს.

6.3.5 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება

ამ ტიპის საქმიანობის ინფორმაციის მართვის ინტერფეისი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს მისამართისა და წარმადობის და სხვა ტიპების ანალოგიურია (იხ. ზემოთ).

მეორე ნაწილში ივსება ინფორმაცია ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის რეგისტრაციისთვის (**სურათი 18**).



ინფორმაცია ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის რეგისტრაციისთვის

ხელახალი დატვირთვა კომპაქტირებით

ასაწონი ზიდი

რეციკლირებადი ნარჩენების საცავი

შენობა პერსონალისთვის

სხვა

ხელახალი დატვირთვა კომპაქტირების გარეშე

ნარჩენების დახარისხება

სახიფათო ნარჩენების საცავი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოფარები

მანძილი უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან (მ)

მანძილი უახლოესი დასახლებული ტერიტორიიდან (მ)

მანძილი უახლოესი დაცული ტერიტორიიდან (მ)

სურათი 18. ნარჩენების გადამტვირთავის სადგურის მოწყობა და ოპერირება

დარეგისტრირების შემდეგ საქმიანობა გაჩნდება საქმიანობის სიაში საიდანაც შესაძლებელია მასზე რამდენიმე ოპერაციის განხორციელება (სურათი 17):

	გადაგზავნის თარიღი	სტატუსი	კომენტარი	ორგანიზაცია	საიდენტიფიკაციო კოდი	საქმ. ტიპი	საქმიანობის თარიღი
						ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება	29.10.2017

სურათი 17. საქმიანობების სია

1. საქმიანობის მონაცემების დათვალიერება
 - a. იხსნება ყველა ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია, მაგრამ რედაქტირების შესაძლებლობის გარეშე
2. საქმიანობის რედაქტირება
 - a. იხსნება ყველა ზემოთ მოყვანილი ინტერფეისი, რედაქტირების შესაძლებლობით
3. გადაგზავნა
 - a. საქმიანობის რეგისტრაციის გადაგზავნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში განსახილველად
 - b. საქმიანობას ავტომატურად ემატება გადაგზავნის თარიღი
 - c. საქმიანობას ავტომატურად ენიჭება სტატუსი „დასამუშავებელი“
4. საქმიანობის წაშლა



a. თუ საქმიანობა უკვე გადაგზავნილია, მისი წაშლა შეუძლებელია


	გადაგზავნის თარიღი	სტატუსი	კომენტარი	ორგანიზაცია	საიდენტიფიკაციო კოდი	საქმ. ტიპი	საქმიანობის თარიღი
   	29.10.2017	დასაშუაგებელი				ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება	29.10.2017

სურათი 19. საქმიანობა გადაგზავნის შემდეგ

საქმიანობის გადაგზავნის შემდეგ ყველა დილაკი, დათვალიერების გარდა, ხდება არააქტიური და მათი საშუალებით საქმიანობაზე რაიმე ქმედების შესრულება შეუძლებელი ხდება (სურათი 19).

6.4 ნებართვების მართვა

საქმიანობის დარეგისტრირებული ტიპების გარდა არსებობს ნარჩენების შენახვა/დამუშავების ისეთი ტიპები, რომლებსაც ჭირდება ინდივიდუალური ნებართვა. ასეთი ნებართვების რეგისტრაცია და ადმინისტრირება ხდება ნებართვების ინტერფეისით, რომელზე გადასვლისასაც ჩანს დარეგისტრირებული ნებართვების სია, რომლის ფილტრაციაც



სურათი 20. ნებართვების სია

შესაძლებელია გაცემის მიზეზით, რეგისტრაციის სტატუსითა და კალენდარული პერიოდით (სურათი 20).

- გაცემის მიზეზი (სიიდან ამოსარჩევი):
 - ნარჩენების აღდგენა, გადარდა არასახიფათონარჩენების წინასწარ დამუშავებისა
 - ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფალო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა
 - სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება
 - 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა
- რეგისტრაციის სტატუსი (სიიდან ამოსარჩევი):



- a. დადასტურებული
 - b. უარყოფილი
3. პერიოდი - დასაწყისი/დასასრული (კალენდარი)
 4. დარეგისტრირებული ნებართვის ძებნა
 5. ნებართვის ექსპორტი Excel-ის ფორმატში
 6. ნებართვის დამატება
 7. ახალი ნებართვის დამატების დილაკზე დაჭერისას გამოდის ნებართვის რეგისტრაციის ფანჯარა (სურათი 21).

სურათი 21. ნებართვის რეგისტრაცია

1. ნებართვის მონაცემების ტაბი
2. ნებართვის დანართების ატვირთვა ფაილური სისტემიდან
3. ნებართვის ნომერი (ივსება ავტომატურად)
4. სანებართვო საქმიანობის არჩევა (სიიდან):
 - a. ნარჩენების აღდგენა, გადარდა არასახიფათონარჩენების წინასწარ დამუშავებისა
 - b. ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფალო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა
 - c. სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება
 - d. 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა
5. ნებართვის გაცემის თარიღი (კალენდარი)
6. ნებართვის საქმიანობის აღწერა (ტექსტური ველი)
7. დარეგისტრირების შემდეგ ნებართვა გაჩნდება ნებართვების სიაში, საიდანაც შესაძლებელია მასზე რამდენიმე ოპერაციის განხორციელება (სურათი 22):

1	2	3	4	გადაგზავნის თარიღი	სტატუსი	კომენტარი	ორგანიზაცია	საიდენტიფიკაციო კოდი	სანებართვო საქმიანობა	ნებართვის გაცემის თარიღი
									სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება	29.10.2017

სურათი 22. ნებართვების სია



1. ნებართვის მონაცემების დათვალიერება
 - a. იხსნება ყველა ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია, მაგრამ რედაქტირების შესაძლებლობის გარეშე
2. ნებართვის რედაქტირება
 - a. იხსნება ყველა ზემოთ მოყვანილი ინტერფეისი, რედაქტირების შესაძლებლობით
3. გადაგზავნა
 - a. ნებართვის რეგისტრაციის გადაგზავნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში განსახილველად
 - b. ნებართვას ავტომატურად ემატება გადაგზავნის თარიღი
 - c. ნებართვას ავტომატურად ენიჭება სტატუსი „დასამუშავებელი“
4. საქმიანობის წაშლა
 - a. თუ ნებართვ უკვე გადაგზავნილია, მისი წაშლა შეუძლებელია


საქმიანობის გადაგზავნის შემდეგ ყველა ღილაკი, დათვალიერების გარდა, ხდება არააქტიური და მათი საშუალებით საქმიანობაზე რაიმე ქმედების შესრულება შეუძლებელი ხდება (სურათი 23).

	გადაგზავნის თარიღი	სტატუსი	კომენტარი	ორგანიზაცია	საიდენტიფიკაციო კოდი	სანებართო საქმიანობა	ნებართვის გაცემის თარიღი
	29.10.2017	დასამუშავებელი				საზოგადოებრივი ნარჩენების წინასწარი დაშლამგება	29.10.2017

სურათი 23. ნებართვა გადაგზავნის შემდეგ

6.5 ნარჩენების მართვის გეგმების ადმინისტრირება

სისტემის ეს კომპონენტი განკუთვნილია ორგანიზაციის მიერ ნარჩენების მართვის გეგმ(ებ)ის ადმინისტრირებისთვის. ამ მენიუზე გადასვლისას ჩნდება არსებული გეგმების სია, წლისა და სტატუსის ჭრილში ფილტრაციის შესაძლებლობით (სურათი 24).



სურათი 24. ნარჩენების მართვის გეგმები



დამატების დილაკზე დაჭერის შემდეგ ჩნდება ჩნდება გეგმის დამატების ინტერფეისი (სურათი 25).

გეგმაში ნარჩენების დამატების დილაკზე (3) დაჭერით ჩნდება ნარჩენების დამატების ინტერფეისი (სურათი 26):

1. ორგანიზაციის ფილიალი, რომლისთვისაც დგება გეგმა. ფილიალი წინასწარ უნდა იყოს დარეგისტრირებული პერსონალური ინფორმაციის გვერდზე (სურათი 7)
2. ნარჩენის კოდი და დასახელება (სიიდან ამოსარჩევი, **დანართი 1** - ნარჩენების ნუსხა)
3. მიმღები ორგანიზაცია (სიიდან ამოსარჩევი - სისტემაში დარეგისტრირებული სხვა ორგანიზაცია)
4. ფიზიკური მდგომარეობა (სიიდან ამოსარჩევი):

სურათი 25. გეგმის დამატება: (1) გეგმის მონაცემების დამატება; (2) გეგმაზე ნარჩენების დამატება ფაილური სისტემიდან; (3) ნარჩენების დამატება გეგმაში; (4) გეგმის დამატებითი დეტალური აღწერა

- a. მყარი
 - b. თხევადი
 - c. სხვა
5. კომენტარის ველი (ტექსტური ველი)
 6. ნარჩენების განთავსების ინფორმაციის დამატება



- a. გამოვა ფანჯარა, საიდანაც ხდება განთავსების ოპერაციების სიიდან ვარიანტის ამორჩევა (ცხრილი 2. განთავსების ოპერაციები)

სურათი 26. გეგმაში ნარჩენების დამატება

- 7. ნარჩენების აღდგენის ინფორმაციის დამატება
 - a. გამოვა ფანჯარა, საიდანაც ხდება აღდგენის ოპერაციების სიიდან ვარიანტის ამორჩევა (ცხრილი 1. აღდგენის ოპერაციების სია)

სურათი 27. ნარჩენების რაოდენობის დამატება

- 8. ნარჩენების გაოდენობების განსაზღვრა, წლების მიხედვით (სურათი 27)



ნარჩენების გეგმის დამატების შემდეგ, ის გამოჩნდება გეგმების სიაში, საიდანაც შესაძლებელია გეგმის დათვალიერება, რედაქტირება, გადაგზავნა განსახილველად და წაშლა (სურათი 29). გეგმის გადაგზავნის შემდეგ ყველა დილაკი, დათვალიერების გარდა, ხდება არააქტიური და მათი საშუალებით ნარჩენების მართვის გეგმაზე რაიმე ქმედების შესრულება შეუძლებელი ხდება (სურათი 28).

გადმოიტანეთ ის სვეტი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება									
	გადაგზავნის თარიღი	სტატუსი	კომენტარი	ორგანიზაცია	საიდენტიფიკაციო კოდი	დან	მდე	სახელი	აღწერა
						2019	2020		

სურათი 29. გეგმების სია

გადმოიტანეთ ის სვეტი რომლის მიხედვითაც გინდათ ცხრილის დაჯგუფება									
	გადაგზავნის თარიღი	სტატუსი	კომენტარი	ორგანიზაცია	საიდენტიფიკაციო კოდი	დან	მდე	სახელი	აღწერა
	29.10.2017	დასაშუაგებელი				2019	2020		

სურათი 28. გეგმა გადაგზავნის შემდეგ

6.6 ნარჩენების აღრიცხვა

სისტემაში ორგანიზაციის დეტალების შეტანის, საქმიანობის, აუცილებელი ნებართვებისა და გეგმების დარეგისტრირების შემდეგ (ეს უკანასკნელი არააუცილებელი ეტაპია), შესაძლებელია სისტემაში ნარჩენების დარეგისტრირება და ადმინისტრირება. მენიუს შესაბამის

ფილტრი

საიდენტიფიკაციო კოდი <input type="text"/>	სახელწოდება (კოდი/სახელი) <input type="text"/>
დასახელება <input type="text"/>	წარმოშობა <input type="text"/>
	პერიოდი <input type="text"/>

ძებნა ექსპორტი დამატება

სურათი 30. ნარჩენების აღრიცხვა

სეგმენტზე გადასვლის შემდეგ, გამოჩნდება ნარჩენები აღრიცხვის სია და მისი ფილტრები (სურათი 30).

ნარჩენების სიაში შემდეგი სვეტებია:

1. ტრანსპორტირების დრო
2. წარმომქმნელი ორგანიზაცია (ს/კ)
3. წარმომქმნელი ორგანიზაცია (სახელი)
4. წარმოქმნის ადგილი
5. გადამზიდავი ორგანიზაცია (ს/კ)
6. გადამზიდავი ორგანიზაცია (სახელი)
7. გადამზიდავი ორგანიზაციის დასტური
8. გადამზიდავი ორგანიზაციის კომენტარი



9. მიმღები ორგანიზაცია (ს/კ)
10. მიმღები ორგანიზაცია (სახელი)
11. მიმღები ორგანიზაციის დასტური
12. მიმღები ორგანიზაციის კომენტარი
13. მიღების ადგილი
14. წარმომავლობა
15. მძღოლის პირადი ნომერი
16. მძღოლის სახელი
17. მძღოლის გვარი
18. მანქანის ნომერი

ნარჩენის დამატების დილაკზე დაჭერით იხსნება ნარჩენების ადმინისტრირები ინტერფეისი, რომელიც რამდენიმე სეგმენტისგან შედგება - გამგზავნი, ნარჩენების დამატება, გადამზდავი, მიმღები.

6.6.1 გამგზავნი

გამგზავნის მონაცემები შემდეგ ველებს მოიცავს (**სურათი 31**):

1. გაცემის ადგილი (სიიდან ამოსარჩევი)
 - a. ორგანიზაციაზე დარეგისტრირებული ერთ-ერთი ფილიალი
2. ქვეყანა (სიიდან ამოსარჩევი)
3. რეგიონი (სიიდან ამოსარჩევი)
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია *საქართველო*
4. მუნიციპალიტეტი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია *საქართველო*
 - b. სიაში მუნიციპალიტეტები დაფილტრულია არჩეული რეგიონის მიხედვით
5. დასახლებული პუნქტი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია *საქართველო*
 - b. სიაში დასახლებული პუნქტები დაფილტრულია არჩეული მუნიციპალიტეტის მიხედვით
6. მისამართი (ტექსტური ველი)
7. წარმომავლობა (სიიდან ამოსარჩევი)
 - a. წარმოქმნილი
 - b. მიღება
 - c. გაცემა



8. ტრანსპორტირების თარიღი (კალენდარი)

გამგზავნი	
გაცემის ადგილი	<input type="text"/>
ქვეყანა	საქართველო
რეგიონი	<input type="text"/>
მუნიციპალიტეტი	<input type="text"/>
დასახლებული პუნქტი	<input type="text"/>
მისამართი	<input type="text"/>
წარმოშავლობა	<input type="text"/>
ტრანსპორტირების თარიღი	<input type="text"/>

სურათი 31. ნარჩენების გამგზავნის მონაცემები

6.6.2 ნარჩენების დამატება

ნარჩენების დამატების ღილაკზე დაჭერის შემდეგ ჩნდება ნარჩენის საინფორმაციო ველები (სურათი 32):

- ნარჩენის კოდი (სიიდან ამოსარჩევი, **დანართი 1** - ნარჩენების ნუსხა)
- ფიზიკური თვისებები (სიიდან ამოსარჩევი):
 - მყარი
 - თხევადი
 - ლამისებრი
 - აირი
 - ფხვნილი
 - სუსპენზია
 - ემულსია
- შეფუთვის სახეობა (სიიდან ამოსარჩევი):
 - შეფუთვის გარეშე
 - ლითონის ყუთები
 - ტომრები
 - კონტეინერები
 - აჭრები
 - სხვა
- რაოდენობა (მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა)
- კომენტარის ველი (ტექსტური ველი)
- აღდგენა (სიიდან ამოსარჩევი, **ცხრილი 1**. აღდგენის ოპერაციების სია)



7. განთავსება (სიიდან ამოსარჩევი, **ცხრილი 2.** განთავსების ოპერაციები)

სურათი 32. ნარჩენის დამატება

6.6.3 გადამზდავი

ამ სეგმენტში განისაზღვრება გადამზიდავი ორგანიზაციის დეტალები (სურათი 33):

1. გადამზიდავი კომპანია(სიიდან ამოსარჩევი)
 - a. სისტემაში დარეგისტრირებული ორგანიზაციების სია
1. მძღოლის სახელი (ტექსტური ველი)
2. მძღოლის გვარი (ტექსტური ველი)
3. მძღოლის პირადი ნომერი (ტექსტური ველი)
4. მანქანის ნომერი (ტექსტური ველი)

სურათი 33. გადამზიდავი ორგანიზაციის მონაცემები

6.6.4 მიმღები

ამ სეგმენტში განისაზღვრება მიმღები ორგანიზაციის დეტალები (სურათი 34):

2. მიმღები ორგანიზაცია (სიიდან ამოსარჩევი)
 - a. სისტემაში დარეგისტრირებული ორგანიზაციების სია
3. მიმღები ორგანიზაციის კონკრეტული ფილიალი (სიიდან ამოსარჩევი)
 - a. სისტემაში ორგანიზაციაზე დარეგისტრირებული ფილიალების სია



- b. ფილიალის არჩევის შემდეგ მისამართის ყველა ველი (ქვეყანა, რეგიონი, მუნიციპალიტეტი, დასახლებული პუნქტი, მისამართი) ავტომატურად ივსება ფილიალის შესაბამისი მონაცემებით (რედაქტირებადი)

The screenshot shows a web form titled "მიმღები" (Receiver). It contains several input fields with dropdown arrows on the right side, indicating they are dropdown menus. The fields are: "მიმღები ორგანიზაცია" (Receiver organization), "მიმღები ორგანიზაცია" (Receiver organization), "ქვეყანა" (Country) with the value "საქართველო" (Georgia) selected, "რეგიონი" (Region), "მუნიციპალიტეტი" (Municipality), "დასახლებული პუნქტი" (Settlement point), and "მისამართი" (Address).

სურათი 34. მიმღები ორგანიზაციის მონაცემები

- 4. ქვეყანა (სიიდან ამოსარჩევი)
- 5. რეგიონი (სიიდან ამოსარჩევი)
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია საქართველო
- 6. მუნიციპალიტეტი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია საქართველო
 - b. სიაში მუნიციპალიტეტები დაფილტრულია არჩეული რეგიონის მიხედვით
- 7. დასახლებული პუნქტი (სიიდან ამოსარჩევი):
 - a. ეს ველი აქტიურია მხოლოდ როდესაც ამორჩეულია საქართველო
 - b. სიაში დასახლებული პუნქტები დაფილტრულია არჩეული მუნიციპალიტეტის მიხედვით
- 8. მისამართი (ტექსტური ველი)

ნარჩენის დარეგისტრირების შემდეგ, ის უნდა დაადასტუროს გადამზიდავმა და მიმღებმა ორგანიზაციამ. ეს ნარჩენი მათი პროფილის „ნარჩენების აღრიცხვის“ ნაწილში გამოჩნდება.

6.7 ანალიტიკა

ამ განყოფილებაში სამომავლოდ განთავსდება რეპორტები და ანალიტიკის სხვადასხვა ინტრუმენტები.



7 დანართი 1 - ნარჩენების ნუსხა

ნარჩენების კლასიფიკატორი (საქართველოს მთავრობის დადგენილება №426 სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ (2015 წლის 17 აგვისტო)).

ცხრილი 3. ნარჩენების ნუსხა (* ვარსკვლავით აღნიშნულია სახიფათო ნარჩენები)

01	ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება გეოლოგიური დაზვერვითი-საძიებო სამუშაოების/გათხრების, სამთომადნო მოპოვების, სასარგებლო წიაღისეულის /მინერალების და კარიერების მექანიკური დამუშავებისა და შემდგომი დამუშავებისას
01 01	ნარჩენები სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან
01 01 01	ნარჩენები ლითონის შემცველი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან
01 01 02	ნარჩენები ლითონის არშემცველი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან
01 03	ნარჩენები ლითონის შემცველი სასარგებლო წიაღისეულის შემდგომი ფიზიკური და ქიმიური დამუშავებიდან
01 03 04*	მჟავის გამომყოფი ნარჩენები სუფიდის მადანის შემდგომი დამუშავებისგან
01 03 05*	სახიფათო ნივთიერებების შემცველი სხვა ნარჩენები
01 03 06	ნარჩენები, რომლებიც არ არის ნახსენები 01 03 04 და 01 03 05-ში
01 03 07*	სხვა ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს ლითონის შემცველი სასარგებლო წიაღისეულის შემდგომი ფიზიკური და ქიმიური დამუშავებიდან
01 03 08	სხვა მტვრისა და ფეკილისებრი ნარჩენი, რომელიც არ არის ნახსენები 01 03 07-ში.
01 03 09	წითელი შლამი ალუმინის წარმოების შედეგად, რომელიც არ არის ნახსენები 01 03 10-ში.
